

მიტროპოლიტი ათანასე: მე არ ვაპირებ დავესწრო პაპის ვიზიტთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებებს

ჟურნალისტი: ანტიგონი სოლომონიდუ-დრუსიოტუ

ლემესოს (Lemesos, კვიპროსი) მიტროპოლიტი ათანასე არ იზიარებს კუნძულზე პაპ ბენედიქტეს ვიზიტის თაობაზე კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალურ პოზიციას. იგი ნათლად აცხადებს, რომ წინააღმდეგია ამ ვიზიტის, რადგან კათოლიციზმი ერესია და მისი მამამთავრის ჩამოსვლა გამოიწვევს მორწმუნე ერის დაბრკოლებას და შეშფოთებას. ამავე დროს იგი აღნიშნავს, რომ რაიმე საპირისპირო რადიკალური ზომების მიღებაც არ არის მიზანშეწონილი (უხეში და შეურაცხმყოფელი გამონათქვამები და ქმედებები)

ჟურნალისტი: რატომ გამოიწვევს მორწმუნეთა დაბრკოლებას ბენედიქტეს ვიზიტი?

მიტროპოლიტი: დარწმუნებული ვარ, რომ ეს ვიზიტი გამოიწვევს მრავალი მორწმუნის სინდისის ქეჯნას. უკეთესი იქნება რომ არ ჩამოვიდეს, რადგან მიმაჩნია, რომ ამას არავითარი სარგებელი არ მოყვება, მე არასოდეს მინახავს ჩვენი ეროვნული პრობლემების სასიკეთოდ გადაწყვეტისათვის ვატიკანის პოზიტიური ჩარევა. პაპის მომავალმა ვიზიტმა უკვე გამოიწვია დამატებით მრავალი უხერხულობა, რომელიც ამჟამად ჩვენ ნამდვილად არ გვჭირდება.

ჟურნალისტი: რაიმე საშიშროების წინაშე ხომ არ ვდგევართ?

მიტროპოლიტი: არა მგონია ამ ვიზიტით სარწმუნოების საკითხში რაიმე საშიშროება გვემუქრებოდეს, ან რომ ის მართლმადიდებელი ეკლესიის დაცემას გამოიწვევს, მაგრამ ეს მშვენიერი მიზეზი იქნება “მეძველსტილებისათვის” რათა დაგვადანაშაულონ მართლმადიდებლური პრინციპების გადახვევაში, რასაც მორწმუნეთა დაბრკოლება მოყვება. რა თქმა უნდა, პაპი მოიწვია ქვეყნის პრეზიდენტმა მთავარეპისკოპოსის თანხმობით.

ჟურნალისტი: იყო სინოდის სხდომაზე ეს საკითხი განხილული?

მიტროპოლიტი: ბოლო კრებაზე პაპთან ჩვენი შეხვედრის საკითხმა წამოიწია. მე უარი განვაცხადე და ვთქვი რომ ამ ვიზიტის თაობაზე მხოლოდ გაზეთიდან შევიტყვე და ინფორმირებული არ ვიყავი.

ჟურნალისტი: ახალ ამბებს ხშირად იგებთ გაზეთებიდან?

მიტროპოლიტი: კვიპროსის მთავარეპისკოპოსს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობები აკისრია ვიდრე ჩვენ. მაგრამ ჩვენ ვიყენებთ ჩვენს უფლებას და ვაცხადებთ რომ არაფერი ვიცოდით პაპის დაგეგმილ ვიზიტზე. ხოლო თუკი მთავარეპისკოპოსი ჩვენი აზრით დაინტერესდებოდა, პირადად მე ჩემს უარყოფით დამოკიდებულებას გამოვხატავდი, რადგან ვიზიტი გამოიწვევდა მორწმუნეთა შეშფოთებას და დაბრკოლებას, რაც უკვე ხდება.

ჟურნალისტი: თქვენი აზრით ეკლესიებს შორის არავითარი ურთიერთობა არ უნდა იყოს? ბოლოს და ბოლოს 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ, ევროპულ ოჯახს ვეკუთვნივით.

მიტროპოლიტი: დიალოგის წარმოება ნებისმიერი სარწმუნოების ხალხთან შეიძლება, მაგრამ ერთია დიალოგი წარმოება და მეორე პაპის - როგორც ეპისკოპოსის მიღება.

იგი მართლმადიდებელთათვის ერეტიკოსია, ეკლესიიდან განკვეთილი და ამიტომ ეპისკოპოსიც არ არის.

**ჟურნალისტი:** 1054 წლის განხეთქილების გამო?

**მიტროპოლიტი:** იგი საუკუნეებია რაც ეკლესიიდან განკვეთილია, არ არის ჭეშმარიტი ეპისკოპოსი და არავითარი კავშირი არ აქვს ქრისტეს ერთ, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიასთან. ერთია როცა მას იღებენ როგორც ეპისკოპოსს და სხვაა მასთან საუბარი, როგორც ერეტიკოსთან მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში და ტრადიციებში მის მოსაქცევად.

**ჟურნალისტი:** მსოფლიო პატრიარქი შეხვდა პაპს და დიალოგიც დაწყებულია.

**მიტროპოლიტი:** მე უკვე ავლნიშნე, რომ თავისთავად დიალოგი არ არის ცუდი, როდესაც იგი შესაბამის პირობებში მიმდინარეობს. მაგრამ არასწორია, რომ ამ ხალხს ვუთხრათ რომ ვაღიარებთ როგორც ეკლესიას, რომ ვაღიარებთ პაპს ეპისკოპოსად, ქრისტესმიერ ძმად, სულიერად და სარწმუნოებაში. მე ამას ვერ მივიღებ, რადგან ეს სიცრუეა. ეკლესიის ყველა მამა საწინააღმდეგოს გვასწავლის. პაპიზმი არის მწვალებლობა და ბევრი იმ მწვალებლობათა სათავე, რომლებიც დღეს მსოფლოს ასე აშფოთებენ. წმ. იუსტინე პოპოვიჩი გვასწავლის, რომ კაცობრიობაში სამი დიდი ტრაგიკული დაცემა იყო: პირველი – ადამის, მეორე – იუდა ისკარიოტელის, მესამე – პაპის, რომელიც მოციქულთა სარწმუნოებას დაშორდა, თავის თავი ეკლესიის გარეთ დააყენა და უამრავი ადამიანი თან გაიყოლა.

**ჟურნალისტი:** რას ამბობს პაპი მართლმადიდებლებზე?

**მიტროპოლიტი:** იგი ამბობს, რომ ჩვენ არაადეკვატური ეკლესია ვართ.

**ჟურნალისტი:** უფალი ერთია.

**მიტროპოლიტი:** დიას უფალი ერთია და მისი ეკლესიაც ერთია. ამიტომაც მრწამსში ვაღიარებთ: “ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო. . .” ეს ერთი ეკლესია არის მართლმადიდებლური. არ არსებობს მრავალი ეკლესია.

**ჟურნალისტი:** ეგოისტურად ხო მარ უღერს რომ ის ერთი ჩვენ ვართ?

**მიტროპოლიტი:** არა. როცა შენ იტალიელს ეუბნები რომ არ ხარ ბერძენი, რაც სრული სიმართლეა, ამით მას სულაც არ აწყენინებ. თუ მე სხვა პირს ვეტყვი რომ არ აქვს მნიშვნელობა რომ კათოლიკე ხარ, მაინც ერთ ეკლესიას ვეკუთვნით, ნიშნავს რომ დავცინი, რადგან ეკლესიის ყველა მამა გვასწავლის, რომ არის ქრისტეს ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.

**ჟურნალისტი:** რატომ არის ეს მართლმადიდებელი და არა კათოლიკური ეკლესია?

**მიტროპოლიტი:** იმიტომ რომ მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესია ინახავს მოციქულთა სარწმუნოებას და წინასწარმეტყველთა სიბრძნეს შეუცვლელად დღევანდელ დღემდე. სამწუხაროდ პაპისტები, რაც ეკლესიას ჩამოშრდნენ ბევრი მწვალებლური დოგმატი მიიღეს თავის სარწმუნოებაში. მათ შეცვალეს მრწამსი და ბოლოს პაპი გამოაცხადეს ღვთის ერთადერთ წარმომადგენლად დედამიწაზე. მათი აზრით პაპი უცდომელია და ვისაც არ აქვს კავშირი პაპთან მას არ აქვს კავშირი ღმერთთან. მათ ეს დოგმატება ოფიციალურად აქვთ აღიარებული თავიანთ კრებებზე. როდესაც შენ დაუმატებ სარწმუნოების სიმბოლოს სხვადასხვა რამეს, რომელიც წმიდა

მამებს არ დაუმტკიცებიათ და მრავალ სხვა ცრუ სწავლებებს, ეს უკვე მწვალებლობაა.

**ჟურნალისტი:** როგორ ეპყრობა ეკლესია მწვალებლებს?

**მიტროპოლიტი:** დიდი სიყვარულით, ჩვენ გვიყვარს პაპი და პაპისტები ისევე როგორც ნებისმიერი ადამიანი. ჩვენ არ გვძულს ისინი, ჩვენ არ უარყოფთ მათ როგორც ადამიანებს, მაგრამ ვერ მივიღებთ მათ მწვალებლობას, ვერ მივიღებთ ცრუ სწავლებებს და შეცდომებს. ზუსტად იმიტომ რომ ჩვენ ისინი გვიყვარს მათ სიმართლე უნდა უთხრათ.

**ჟურნალისტი:** ყველას თავის სიმართლე აქვს.

**მიტროპოლიტი:** ამიტომაც ვაწარმოებთ დიალოგებს რომ ისტორიული ფაქტებით დაეუმტკიცოთ, რომელ ეკლესიაშია დაცული მოციქულთა სწავლება და სარწმუნოება.

**ჟურნალისტი:** გჯერათ, რომ ეს დიალოგები შედეგს მოიტანს?

**მიტროპოლიტი:** შესაძლებელია, თუ კი ის შესაბამისი წინაპირობებით წარიმართება. აგრამ, სამწუხაროდ, ისე, როგორც ის დღეს მიმდინარეობს, შედეგს ვერ მოიტანს. ამიტომაც არის, რომ წლების შემდეგაც ასეთ დიალოგებით ვერაფერი მიიღწევა.

**ჟურნალისტი:** ყველა მხარე თავისას ამბობს?

**მიტროპოლიტი:** საუბარი უნდა წარიმართოს წმიდა წერილის შესაბამისად, სიმდაბლით და სიყვარულით ქრისტეს ჭეშმარიტების შესაცნობად. ყველაფერი შეიძლება საკმაოდ გამარტივდეს.

**ჟურნალისტი:** ეს დიალოგები სიმდაბლის და სიყვარულის ატმოსფეროში მიმდინარეობს?

**მიტროპოლიტი:** არ ვიცი, მე მათ არ ვესწრები. მაგრამ მე არ მინახავს რაიმე ხელშესახები შედეგი მათი დასკვნებიდან. რადგან მე არ ვეთანხმები ყოველივე ამას, არ ნიშნავს რომ არ ვარ კლესიის წევრი.

**ჟურნალისტი:** პაპის საწინააღმდეგოდ იბეჭდება წიგნები და მზადდება პროტესტი.

**მიტროპოლიტი:** მე ამას არ ვეთანხმები. არ უნდა მოხდეს არეულება და შეურაცხყოფები. ერთია ხმის ამაღლება და მეორე არეულობა. მე საზოგადოდ და გასაგებად გამოვთქვი ჩემი უთანხმოება პაპის ვიზიტთან დაკავშირებით და მთელი სულით განვაცხადე, რომ პაპი მწვალებელია, იგი არ არის ეპისკოპოსი, არ არის მართლმადიდებელი ქრისტიანი – ეს გაცხადებულია წმიდა მამათა მიერ. თუ ვცდები, მზად ვარ გაიციხვისთვის. მაგრამ ეს უნდა მოხდეს წმიდა მამათაებრ და არა გლობალიზაციის პრინციპებიდან გამომდინარე. იმიტომ, რომ არ ვეთანხმები არ ნიშნავს რომ ეკლესიის წევრი არ ვარ.

**ჟურნალისტი:** არ ფიქრობთ, რომ თქვენი განცხადებით უფრო მეტად აღედგება ის ხალხი, ვინც უკვე ისედაც შეშფოთებულია?

**მიტროპოლიტი:** ჩვენ გულწრფელად და პასუხისმგებლობით ვამბობთ იმას, რაც უნდა გვეთქვა და არ ვაღვივებთ ცეცხლს. არ მინდა ისე გამოვჩნდე, თითქოს ვეთანხმები პაპის კვიპროსზე ყოფნას. სინოდის სხდომაზე მთავარეპისკოპოსმა საკმაოდ დემოკრატიულად მიიღო ჩვენი წინააღმდეგობა.

**ჟურნალისტი:** ეთანხმებით მთავარეპისკოპოსის ვიზიტს ვატიკანში?

**მიტროპოლიტი:** ჩვენ არავინ გვკითხა და არც იყო ვალდებული ეკითხა. ეს ჩვენ გაზეთებიდან გავიგეთ.

**ჟურნალისტი:** რა იყო ვატიკანში მისი ვიზიტის შედეგი?

**მიტროპოლიტი:** არ ვიცი.

**ჟურნალისტი:** არაფერი უთქვამს?

**მიტროპოლიტი:** თქვა, მაგრამ პირადად მე დიდი ინტერესი არ გამომიჩენია. პაპი ყოველთვის ფორმალუბებით საუბრობს, რასაც კვიპროსზე ჩამოსვლისასაც გააგრძელებს. მაგრამ ამით მნიშვნელოვანი არაფერი შეიცვლება, რადგან იგი ეკლესიის მეთაურია და არა პოლიტიკური ფიგურა. მას არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკურ სტატუს ქვოს განხილვისას. როდის იყო, რომ პაპს მართლმადიდებელი ეკლესია დაუცვია? რამდენჯერ ვიყავით დაპყრობილები და როდისმე თუ დაუცვივართ? თუ არ გავიხსენებთ იმას, თუ რა საშინელ დღეში ვიყავით ფრანკების უღლის ქვეშ, სხვადასხვა პაპების და მათი ბრძანებების მეშვეობით ჩვენი განადგურება რომ სურდათ. დღეს ჩვენ ვიხსენებთ 13 კანტარელ (Kantara) მოწამეს, რომლებიც პაპის ბრძანებით მოაკვდინეს. 400 წელი ვცხოვრობდით ფრანკების სასტიკი მმართველობის ქვეშ. ისინი უარესები იყვნენ, ვიდრე თურქები. მაგრამ არ მინდა ახლა წარსულს ჩაფუძრავდე. დღეს მე წინააღმდეგობას გამოვთქვამ მხოლოდ თეოლოგიური მიზეზებიდან გამომდინარე. როდესაც ჩვენ ეპისკოპოსებად დაგვასხეს ხელი, აღთქმა დავდეთ მართლმადიდებელი სარწმუნოების დაცვაზე.

**ჟურნალისტი:** ის სასულიერო პირები, ვინც პაპს დახვდებიან, არ დაიცავენ სარწმუნოებას?

**მიტროპოლიტი:** პავლე მოციქულმა ბრძანა: ვინც ხორც არ იხმევს, ნუ განიკითხავს მათ, რომლებიც იხმევენ. მე არ განვიკითხავ მათ, ვინც შეხვდება პაპს, მაგრამ არც მე მინდა ვიყო განიკითხული წინააღმდეგობისათვის. ვატიკანი უმიზეზოდ არაფერ აკეთებს.

წინა კვირას წერილი (ცირკულარი) იქნა წაკითხული ეკლესიაში იმ ეპისკოპოსთა დასახელებით, ვინც დაესწრება პაპთან შეხვედრას, რაც გასაკვირი იყო მრევლისთვის.

ჩვენ გადავწყვიტეთ გამოგვეცა წერილი სამწყსოსათვის, რომ ხალხი ერთად დამდგარიყო და არ აყოლოდნენ “მეძველსტილებს”, რომელთაც მათი მოწყვეტა სურთ ეკლესიიდან.

პაპის ვიზიტთან დაკავშირებით ჩვენი არაინფორმირებულობა და უარყოფითი დამოკიდებულება გარკვევით არ იყო განცხადებული.

**ჟურნალისტი:** თქვენი აზრით რატომ სტუმრობს პაპი კვიპროსს?

**მიტროპოლიტი:** როგორც თქვენთვის ცნობილია, პაპისტებს სერიოზული კრიზისი აქვს ყველა იმ სკანდალურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რამაც ბოლო დროს კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ გაიჟღერა.

**ჟურნალისტი:** პედოფილიას გულისხმობთ?

**მიტროპოლიტი:** არ მსურს ამ საკითხს ჩაუღრმავდე, მაგრამ თითქმის ყოველ დღე იბეჭდება ამ უბედურების შესახებ. არ განვიკითხავ, მაგრამ პაპს თავის თავი მიაჩნია ქრისტეს ერთადერთ მოადგილედ დედამიწაზე. ეს არის ამ მოგზაურობების მიზეზი.

**ჟურნალისტი:** მან აღნიშნა, რომ პავლე მოციქულის ნაკვალევს მიყვება.

**მიტროპოლიტი:** პავლე მოციქული 500 ათასიანი დაჯავშნული მანქანით არ მოგზაურობდა. როგორც ჩვენ გავიგეთ, კვიპროსის მთავრობამ ეს მანქანა მისი მხოლოდ ორი დღის ვიზიტისთვის უნდა შეიძინოს. მე აღმაშფოთა ამ ინფორმაციამ და ვთქვი, რომ დაჯავშნული მანქანა არ შეშვენის ქრისტეს მოადგილეს, და ამ ეკონომიკური კრიზისის დროს ხალხმა უნდა ზღვიოს ამხელა ხარჯები.

პაპის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ იგი ხელს შეუწყობს ჰუმანისტური და ქრისტიანული პრინციპების და ფასეულობების განმტკიცებას და სურს პავლე მოციქულის გზით იაროს და ძმურად შეხედეს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს კეთილი სურვილებით.

ჩვენ არ ვკამათობთ მის კეთილ სურვილებზე. იმედია, ეს ასეა და მიემსგავსება პავლე მოციქულს და გაეცნობა მართლმადიდებელი ეკლესიის საგანძურს. ვუსურვებთ მას დაბრუნებოდეს ეკლესიას და გახდეს ჭეშმარიტი ეპისკოპოსი, ისეთი, როგორც იყო განსეთქილებამდე. ეს იქნება ერთადერთი ნამდვილი გაერთიანება.

**ჟურნალისტი:** როგორ ფიქრობთ, რა იმალება ამ ვიზიტის უკან?

**მიტროპოლიტი:** ვატიკანი არასოდეს მოქმედებს უმიზეზოდ და გაუთვალისწინებელ ნაბიჯებს არ დგამს. ყველა ეს მოგზაურობა ერთ მიზანს ისახავს,— იგი გამოჩნდეს ქრისტიანული სამყაროს ლიდერად. ამჟამად იგი არ გახლავთ ჭეშმარიტი ეპისკოპოსი, არც მართლმადიდებელი, ამიტომ მას არ შეუძლია წარმოგვიდგეს, როგორც პირველი ეპისკოპოსი.

**ჟურნალისტი:** ხომ არ ფიქრობთ რომ ყველაფერი ამის უკან პოლიტიკური მიზნები იმალება?

**მიტროპოლიტი:** არ ვიცი, მაგრამ არა მგონია ამ ვიზიტით რაიმე პოლიტიკური სარგებელი მივიღოთ: მხოლოდ უზარმაზარი ხარჯები და უთანხმოება მორწმუნეთა შორის.

**ჟურნალისტი:** მთავარეპისკოპოსმა განაცხადა, რომ ვინც ამ ვიზიტის წინააღმდეგია, თავს ეკლესიის გარეთ აყენებს?

**მიტროპოლიტი:** მოითმინეთ! ეკლესია, როგორც ამას მთავარეპისკოპოსი აღნიშნავს, დემოკრატიული ინსტიტუტია. ერთია საწინააღმდეგოდ ხმა აღიმადლო დასაშვები ფორმით და სხვაა არეულობა და შფოთი. მთავარეპისკოპოსმა თავისი უფლებამოსილების საზღვრები კარგად იცის.

**ჟურნალისტი:** განსხვავებული აზრი როგორ მიიღო წმინდა სინოდმა?

**მიტროპოლიტი:** მთავარეპისკოპოსი პატივს ცემს ჩვენს შეხედულებებს, რადგან იგი დემოკრატი ადამიანია. ის დიდი სიყვარულით გვეპყრობა ჩვენ.

**ჟურნალისტი:** იმის მერე, რაც ყველა ჩვენგანმა კარგად იცის, თუ როგორ იქნა იგი არჩეული მთავარეპისკოპოსად, როგორ შეიძლება მას დემოკრატი ვუწოდოთ?

ფორმალურად, წესების შესაბამისად, იგი ხმის უმრავლესობით იქნა არჩეული. პრაქტიკულად კი მისი არჩევა არცთუ ისე დემოკრატიული გზით მოხდა.

**მიტროპოლიტი:** ამის განხილვას ახლა არ ვაპირებ ჩემი მდგომარეობის (თანამდებობის) გამო. თუმცა შემიძლია გითხრა, რომ სინოდის სხდომებზე იგი საკმაოდ დემოკრატიულია, ვერ ვიტყვი რომ განსხვავებულ მოსაზრებებს პატივს არ სცემს, იგი ყველას გვისმენს.

**ჟურნალისტი:** და ბოლოს, მაინც ისე იმოქმედებს, როგორც თვითონ სურს?

**მიტროპოლიტი:** არა. იგი მხარს სინოდის გადაწყვეტილებებს უჭერს, მიუხედავად იმისა, რომ მას შესაძლოა სხვა აზრი ჰქონდეს.

**ჟურნალისტი:** ეკლესიის ახალი წესდება დემოკრატიული პრინციპებით დაცვით არის დაწერილი?

**მიტროპოლიტი:** იგი მთავარეპისკოპოსს არ დაუწერია, სინოდის შესაბამისმა კომიტეტმა შექმნა ეს დოკუმენტი და განსახილველად მრავალჯერ იყო წარმოდგენილი. საბოლოო გადაწყვეტილება ხმების უმრავლესობით მიიღება.

**ჟურნალისტი:** ხალხს ისეთი აზრი რჩება, რომ წესდება იმგვარად იქნა შედგენილი, რომ თქვენ ხელი შეგშლოდათ მთავარეპისკოპოსის ტახტის დაკავებაში?

**მიტროპოლიტი:** ღმერთმა მრავალი წლის სიცოცხლე მისცეს მთავარეპისკოპოსს, ჩვენ ახალი არჩევნები არ გვჭირდება.

**ჟურნალისტი:** მთავარეპისკოპოსმა განაცხადა, რომ ეკლესიის მეთაურის ტახტს მხოლოდ 5 წლის განმავლობაში დაიკავებადა, ანუ 2011 წლის ბოლომდე.

**მიტროპოლიტი:** როგორც წმიდა წერილშია ნათქვამი, ათასი წელი, ვითარცა ერთი დღე! მხოლოდ მთავარეპისკოპოსს უნდა კითხოთ, თუ რას აპირებს მომავალში. ჩემი სურვილია, რომ არჩევნების პროცესი მალე არ წარიმართოს. ნებისმიერი მთავარეპისკოპოსი აირჩევა ღვთის ნებით და არა ადამიანური სურვილებით. თუ ღმერთს სურს ესა თუ ის ადამიანი იქნას არჩეული, ის იქნება არჩეული, მიუხედავად ყოველგვარი ადამიანური წინააღმდეგობისა. ჩვენი ცხოვრების მიზანი არ არის მთავარეპისკოპოსად გახდომა.

**ჟურნალისტი:** რა არის თქვენი ცხოვრების მიზანი?

**მიტროპოლიტი:** ცხოვნება, ღმერთთან ერთად ყოფნა, ღვთისა და მოყვასის სიყვარული.

**ჟურნალისტი:** ხომ არ ფიქრობთ, რომ მთავარეპისკოპოსი ცდილობს ეკლესია “ერის ლიდერად” წარმოაჩინოს?

**მიტროპოლიტი:** არა მგონია ის ამას ცდილობდეს. მან თვითონვე გააუქმა “ეთნარხის” (ერის წინამძღვარი) ტიტული. მთავარეპისკოპოსმა თავისი უფლებამოსილების საზღვრები კარგად იცის, მაგრამ ძალიან უყვარს და ზრუნავს თავის ქვეყანაზე.

მან ახლახან განაცხადა, რომ ორგანიზებულად ცდილობენ ეკლესიის სახელის შებღალვას კარგად გამოცდილი ნაცადი ხერხით: ეკლესიის გადაუსდელი ფინანსური ვალდებულებები სახელმწიფოს მიმართ. მან პილიტიკური მოტივები დაინახა ამ კამპანიის უკან.

თუ მან ეს მოსაზრება გამოთქვა, ეს ძალიან სერიოზული მიზეზია იმისა რომ ყველა კარგად დაფიქრდეს.

**ჟურნალისტი:** ეთანხმებით თუ არა, რომ ეკლესიამ უნდა გადაუხადოს სახელმწიფოს 163 მილიონი?

**მიტროპოლიტი:** მე მონაწილეობას არ ვიღებდი იმ კომიტეტის სხდომებში, სადაც ეს საკითხი განიხილებოდა. თუ, კანონის თანახმად, ეკლესიას აქვს ფინანსური ვალდებულება სახელმწიფოს მიმართ, მან იგი უნდა გაისტუმროს. მაგრამ თუ კი კანონი ამას არ ავალდებულებს, მაშინ ეკლესია ამ საკითხს განსაკუთრებულად უნდა მიუდგეს მიმდინარე ფინანსური კრიზისისა და ხალხის მოთხოვნების გათვალისწინებით. ეკლესია ძალიან ფრთხილად უნდა იყოს განცხადებების გაკეთებისა და მოქმედების დროს, რომ უბრალო გრძნობებზე არ იმოქმედოს. მეორეს მხრივ კი სახელმწიფომ გასაგებად უნდა გამოთქვას თავის პრეტენზიები, ისე რომ ხალხი შეცდომაში არ შეიყვანოს განცხადებებით, რომ, თითქოს, ეკლესია გადასახადებს არ იხდის.

**ჟურნალისტი:** ხალხი შეიყვანოს შეცდომაში?

**მიტროპოლიტი:** მცდარია, რომ ეკლესია გადასახადებს არ აიხდის, იგი ამას აკეთებს.

**ჟურნალისტი:** ეთანხმება თუ არა ლიმასოლის მიტროპოლითა კაპიტალზე შემოსავლის გადასახადის შემოღებას?

**მიტროპოლიტი:** ეს ფინანსური ტერმინები კარგად არ ვიცი. როდესაც ჩვენ რაიმე ქონებას ვყიდით, ვიხდით შესაბამის გადასახადს. ჩვენ არ ვართ მოგებაზე ორიენტირებული კომპანია, არ ვფლობთ სასტუმროებს და ქარხნებს, არ ვახორციელებთ ინვესტიციებს, ამიტომაც ჩვენი ფინანსური მდგომარეობა ნამდვილად არასახარბიელოა.

**ჟურნალისტი:** საიდან გაქვთ შემოსავლები?

**მიტროპოლიტი:** გვაქვს ერთი სახის ქონება, რომელიც გაქირავებულია და ვიღებთ შემოსავალს ქირის სახით, ასევე ვყიდით ჩვენს მიწის ნაკვეთებს და ვიღებთ შემოწირულობებს მორწმუნე ხალხისაგან, ვისაც უყვარს ეკლესია.

წყარო: გაზეთი “ფილელეფთეროს”

ბერძნულიდან ინგლისურად თარგმნა ოლგა კოკინოსმა, ჟურნალისტი.

ინტერვიუს ინგლისური ვარიანტი ამოღებულია: <http://vatopaidi.wordpress.com/>